განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი
6, 7 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245427337
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი 020307
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რუსუდან სეთურიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) მდებარეობს ქალაქ ბათუმში რუსთაველის ქუჩა #53-ში. სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი ფაკულტეტი საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი და ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი გაიხსნა 2006 წელს, მანამდე არსებული ტრანსპორტის მენეჯმენტის ფაკულტეტის ბაზაზე. მისი ფუნქციონირების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს კადრების მომზადება ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, კერძოდ ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულებს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებში, ფირმებში (საწარმოები), ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციულ ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ტრანსეროვნულ კორპორაციებსა და მათ შვილობილ კომპანიებში პრაქტიკული საქმიანობისათვის უნარების გამომუშავებაში

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებია: ,,ლოჯისტიკის და ექსპედირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და "საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ორივე პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. ამ კრედიტების დაგროვება სტუდენტებს შეუძლიათ 4 სემესტრის განმავლობაში. პროგრამა დამტკიცებულია ბათუმის საზღვაო აკადემიის სენატის მიერ (გადაწყვეტილება #11/7, 18.10.2017). სწავლების ენა არის ქართული. პროგრამის დანერგვის ძირითადი საფუძველია საერთაშორისო ბიზნესისა და ლოჯისტიკის სფეროში კვალიფიციური კადრების სიმცირე, რასაც მოწმობს ამ მიმართულებით შრომის ბაზრის კვლევა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 6-7 თებერვალს. ვიზიტამდე, 2 თებერვალს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით სიხარულიძე, ვასილ კიკუტაძე, რუსუდან სეთურიძე, ანა გვრიტიშვილი) 11 საათზე და 14 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მომენტში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

7 თებერვალს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალტან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ფორმულირებული მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას. პროგრამაში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები და სწავლის მეთოდები. თუმცა პროგრამის კომპონენტებში, კერძოდ სასწავლო კურსის სილაბუსებში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობა პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით. ყველა სასწავლო კურსი (სპეციალობის, არჩევითი, თავისუფალი) წარმოდგენილია 5 ECTS კრედიტის მოცულობით. კრედიტების გამოთვლასთან დაკავშირებით მოქმედებს 2016 წლის 2 ნოემბერს დამტკიცებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შემუშავების წესი.

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მიმართულებით. აღნიშნული კვალიფიკაციის მისაღწევად, არსებითად მნიშვნელოვანია ბიზნესის ადმინისტრირებისა და საერთაშორისო ბიზნესის სფეროს დარგობრივი ძირითადი სასწავლო კურსების შეთავაზება, რაც ამ პროგრამის კურსდამთავრებულს ძირითადად გამოუმუშავებს საერთაშორისო ბიზნესის სფეროსადმი დამახასიათებელ სპეციფიკურ უნარებს. კერძოდ, პროგრამაში აქცენტირება კეთდება პროფილური საგნების შესწავლაზე. ამასთან, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამის „საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ შედეგები ორიენტირებულია საერთაშორისო ფირმების მენეჯმენტის მიმართულებით, კურსდამთავრებული დაიკავებს მხოლოდ შესაბამის კონკრეტულ ნიშას დასაქმების ბაზარზე. თუმცა მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერი, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ბიზნესის ადმინისტრირების კონკრეტული მიმართულებით სპეციალური ცოდნის მიცემას სტუდენტებისათვის, ისეთი სასწავლო კურსების მიწოდებით, როგორიცაა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო მენეჯმენტი 1, საერთაშორისო მენეჯმენტი 2, მენეჯერული ეკონომიკსი, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი და არბიტრაჟი, საფინანსო მენეჯმენტი საერთაშორისო ბიზნესში, სტრატეგიული მარკეტინგი. სასურველი იქნება ამ საგნების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი საგნები: კულტურათაშორისი მენეჯმენტი, ექსპორტის მარკეტინგი, გლობალური მიწოდების ჯაჭვი, გლობალური ბაზრების შეფასება და საგარეო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიები, საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგიები, რაც გაზრდიდა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა გამჭვირვალეა და ზოგადი რეგულაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე და ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს ინგლისურ ენაში და ეკონომიკსში. თუმცა არ არის დაკონკრეტებული ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელს სერტიფიკატს უღიარებენ კონკურსანტს მსგავსის წარმოდგენის შემთხვევაში.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებულია სწავლების სტანდარტული მეთოდები. თუმცა, აღნიშნული სწავლების მეთოდები სტანდარტულად გამოიყენება პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსების უმრავლესობაში, რაც ბუნდოვანს ხდის ყველა დისციპლინაში მათი გამოყენების საჭიროებას.

„საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი"-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სპეციალობის სასწავლო კურსები ისწავლება სწავლების პირველივე წლიდან. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანზე დაშვების წინაპირობების დაწესებით, კერძოდ პროგრამაში შემავალი კომპონენტებიდან სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვის წინაპირობად განსაზღვრულია კვლევის მეთოდები და საერთაშორისო მენეჯმენტი 2, რომლის წინაპირობაც არის საერთაშორისო მენეჯმენტი 1. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომი არის პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის მინიჭებისათვის აუცილებელი კვლევითი კომპონენტი და მისი შესრულება პროგრამის სტრუქტურაში დაგეგმილია მე-4 სემესტრში, შესაბამისად მისი შესრულების წინაპირობად მხოლოდ სამი დისციპლინის განსაზღვრა არასაკმარისია.

ცოდნის შესაფასებლად გამოყენებული კრიტერიუმები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას, როგორც მიღწეული შედეგების, ასევე ნაკლოვანებებისა და მათი გაუმჯობესების გზების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებულია სტუდენტის ცოდნის შეფასების 100 ქულიანი სისტემა, რომელიც იყოფა სამ კომპონენტად. ამასთან სტუდენტის შეფასების მეთოდები სტანდარტულია პროგრამაში შემავალ ყველა დისციპლინებში და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას ბუნდოვანია, შეფასების რომელი წესით ხელმძღვანელობს დაწესებულება.

სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ. დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა. სურვილის შემთხვევაში, დამატებით, თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, წინასწარი შეთანხმებით, შეხვდეს აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციებში და ასევე, სხვადასხვა კვლევით პროექტში. თუმცა სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას სპეციალობაში. სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და ინტერნაციონალიზაციაზე. თუმცა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, როგორც პროგრამის კურსდამთავრებულთა, ასევე აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის ჩართვის ხარისხი სუსტია. საქართველოს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალით. აკადემიური პერსონალი შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებულად განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო უნივერსიტეტში თანამშრომლობითი გარემოს ფორმირებას. სასწავლო კურსის მიწოდება ხდება სილაბუსის მიხედვით, რომელშიც მითითებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. სწავლების პროცესში სტუდენტებს სთავაზობენ, როგორც ინგლისურენოვან ლიტერატურას, ასევე პედაგოგების

მიერ მომზადებულ რიდერებს ქართულ ენაზე, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა ზოგიერთი დისციპლინის სწავლება ხდება მოძველებული ლიტერატურით.

- **რეკომენდაციები**
  - მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
  - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო კურსები, (კერძოდ საერთაშორისო მენეჯმენტი 1 და საერთაშორისო მენეჯმენტი 2), რომლებიც ლოგიკურად გრძელდება შემდეგ სემესტრში საჭიროებს სწავლის შედეგების დახვეწას, რომელიც იქნება მზარდი და შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი კურსის შინაარსსა და შედეგთან;
  - გააქტიურდეს დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთვრებულების რეალური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.
  - რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდების მეტად მორგება ცალკეული დისციპლინის სპეციფიკასთან.
  - რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შერულების წინაპირობად, განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სასწავლო კურსებისა და არჩევითი დისციპლინების კრედიტების ის მოცულობა, რომელიც საკმარისი იქნება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მომენტისათვის 120 კრედიტის შესაგროვებლად, სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვის წესის (არაუმეტეს 75 კრედიტი) გათვალისწინებით.
  - რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები, მეტად მოერგოს ცალკეული დისციპლინების თავისებურებებს;
  - სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია განხორციელდეს ცოდნის შეფასების ცალკეულ კრიტერიუმში მისანიჭებელი ქულების რანჟირება.
  - სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადად (დასკვნითი) შეფასების წესი სრულად გაიწეროს უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტში.
  - განახლდეს ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსში "თანამედროვე ბიზნესი", "კვლევის მეთოდები", "Modern business", "მსოფლიო ეკონომიკა" და სხვ.);
  - უცხოენოვან სილაბუსებში მითითებული ქართული ლიტერატურა შეიცვალოს ინგლისურენოვანი ლიტერატურით;
  - სასწავლო კურსს "საერთაშორისო პროექტების მართვა" დაემატოს MS Project -ის პროგრამული პაკეტის შესწავლა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია კრედიტების განაწილებისას გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკა, სტუდენტის რეალური დატვირთვა.
  - სასურველია ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამას დაემატოს ისეთი დისციპლინები, როგორიცაა: კულტურათაშორისი მენეჯმენტი, ექსპორტის მარკეტინგი, გლობალური მიწოდების ჯაჭვი, გლობალური ბაზრების

შეფასება და საგარეო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიები. საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგიები.

- ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სილაბუსსა და თვითშეფასების ანგარიში დაფიქრირებული საკონსულტაციო დღეები და საათები
- გააქტიურდეს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და საქართველოს დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მექანიზმები, კარიერული ცენტრის სახით და შემუშავდეს სტუდენტთა დასაქმების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია.
- სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს ALTE B2 დონის შესაბამისად ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებენ კონკურსანტებს.
- სასურველია სასწავლო პროცესისაგან დამოუკიდებლად შემეცნებითი, პრაქტიკული ხასიათის სამინარების გამართვა, სადაც მოწვეულები იქნებიან, როგორც ქართველი ასევე უცხოელი მომხსენებლები.
- რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკის კომპონენტის გათვალისწინება, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას სამუშაო ადგილზე საქმიანობის პროცესში გაიღრმავონ პრაქტიკული უნარები.
- პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობა საზღვარგარეთ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერით კულტურული და ფსიქოლოგიური დისტანციის შემცირების მიზნით, რაც გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.
- სასურველია სტუდენტებს ჩაუტარდეთ ტრენინგები უცხოური სამეცნიერო ინტერნეტ რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით და ასევე ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში რეფერატისა ან პროექტის მომზადებისას გამოიყენონ სხვადასხვა წყაროები, მათ შორის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ელეტრონული უცხოური ინტერნეტ რესურსები, როგორიცაა სამეცნიერო ნაშრომები, კრებულები, ჟურნალები, სტატიები და სხვა.
- სასურველია აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის გააქტიურება, საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა და ერთობლივ კვლევით პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერით.
- სასურველია უნივერსიტეტში დაიგეგმოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება.
- სასურველია სასწავლო კურსს "ელექტრონული ბიზნესი და ინტერნეტბანკინგი" შესასწავლად დაემატოს, როგორც Excel -ის გაღრმავებული კურსის საკითხები, ასევე საბაჟო სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხები (საბაჟო მონაცემების ავტომატიზებული სისტემა ASYCUDA world, სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემა - Oracle, პიროვნების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის საინფორმაციო სისტემა - PIRS და ა.შ.).
- უნივესიტეტის ბიუჯეტში სასურველია პუნქტობრივად დაზუსტდეს აკადემიური პერსონალის პროფესიული/კვლევითი განვითარებისათვისა და სხვა სამეცნიერო აქტივობისათვის დანახარჯები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - სამაგისტრო საგანმანათლებლო ბროგრამების „ლოჯისტიკა და ექსპედირება“ 2013 წლის აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში წარმოდგენილი რეკომენდაციების აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში.

  - **ექსპერთა ჯგუფის რეკომენდაციები:**

  - **რეკომენდაცია 1:** პროგრამაში გვხვდება ასეთი ჩანაწერი - კურსდამთავებულთა პროფესიული მოღვაწეობის სფეროებია: საქართველოს განათლების სამინისტროს ნორმატიული აქტებისა და დადგენილებების შესაბამისად “პედაგოგიკის მაგისტრის” დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში, უმაღლესსა და საშუალო სკოლებში მუშაობა მასწავლებლად. საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ ითვალისწინებს „პედაგოგიკის მაგისტრის“ კვალიფიკაციას ასეთი ფორმულირებით, მით უფრო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გაურკვეველია რა დამატებითი კვალიფიკაციის მიღებაზეა საუბარი, მიგვაჩნია, რომ ეს ჩანაწერი უმჯობესი საერთოდ ამოღებულ იქნეს პროგრამიდან, როგორც დაუსაბუთებელი და დაინტერესებული მხარეების შეცდომაში შემყვანი.

  - **რეაგირება 1:** აღნიშნული რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული და მითითებული ჩანაწერი ამოღებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამიდან.

  - **რეკომენდაცია 2**: მიღების წინაპირობებში მითითებულია, „სტუდენტების (რომელთაც სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე), სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობით: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #106/ნ, 26.09.2000 წ. დანართი 6 და 13“ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულია და მის ნაცვლად მოქმედებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №26/ნ 2006 წლის 30 იანვარი, მით უფრო რომ ეს ბრძანება განსაზღვრავს მცურავი შემადგენლობის მუშაკთა შემოწმების საერთო სამედიცინო წინააღმდეგ ჩვენებათა ჩამონათვალი და მეზღვაურთა ჯანმრთელობის შემოწმების სტანდარტს, რაც არანაირად არაა დაკავშირებული ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მიღებასთან.
  - **რეაგირება 2 :** სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია სრულიად იქნა გათვალისწინებული და მითიტებული ჩანაწერი ამოღებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამიდან.
  - **რეკომენდაცია 3:** რამდენიმე სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია რუსულენოვანი წიგნები, თუმცა რუსული ენის ცოდნა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს არ მოეთხოვებათ.

- **რეაგირება 3:** სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებშიც ფიქსირდებოდა აღნიშნული ფაქტი შევიდა შესაბამისი ცვლილებები და რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდა ქართულენოვანი ლიტერატურით.

- **რეკომენდაცია 4:** ლოჯისტიკის მიმართულების 4 სხვადასხვა სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია ერთი და იგივე წიგნი - გ.ტყეშელაშვილი, გ. ხმალაძე „ლოჯისტიკის საფუძვლები". აკადემიური პერსონალი ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ ქართულენოვანი ლიტერატურა არ არსებობს, ხოლო სტუდენტებისათვის მომზადებული აქვთ ლექტორის ხელნაწერი საკითხავი მასალა. სასურველი იქნება, აკადემიის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს ასეთი ხელნაწერების სალექციო კურსების სახით გამოცემას.
- **რეაგირება 4:** 2013 წელს საზღვაო აკადემიის ხელშეწყობით გამოცემული იქნა სახელმძღვანელო „ლოჯისტიკა" (523 გვ.), გარდა ამისა ლოჯისტიკის მიმართულების ყველა სასწავლო კურსში დამუშავებული იქნა რიდერები, რომლებიც აისახა სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში

- **რეკომენდაცია 5:** ღსანიშნავია, რომ აკადემიის ნორმატიულ დოკუმენტში „სასწავლო პროცესის პროცედურა, სწავლების საფეხური - მაგისტრატურა" გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, რითაც ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების მე-4 მუხლის 2-ე პუნქტი. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან საუბრის შემდეგ, წარმოადგინეს ბსსა სენატის 2013 წლის 20 თებერვლის #3 ოქმი, რომლის თანახმადაც შევიდა შესაბამისი ცვლილებები სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესში.
- **რეაგირება 5:** მიუხედავად იმისა, რომ ექსპერთა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა ექსპერთა ვიზიტის ფარგლებში, მუშაობა აღნიშნული მიმართულებით გაგრძელდა შემდეგშიც. „სასწავლო პროცესის პროცედურა, სასწავლო საფეხური - მაგისტრატურა, რომელიც დამტკიცებული იქნა 20.09.2016 წელს, რომელშიც დეტალურად გაიწერა და ნაწილობრივ შეიცვალა სამაგისტრო ნაშრომის შეფაების წესი. 2018 წელს დამტკიცებული იქნა ახალი - „სასწავლო პროცესის პროცედურა, სასწავლო საფეხური - მაგისტრატურა, რომელშიც დეტალურად ცარის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცედურა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო უნივერსიტეტს საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწეობის დიდი ხნის ისტორია გააჩნია, რომლის მისიაა სწავლებისა და კვლევის თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების საშუალებით, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპების დამკვიდრებით, უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლება და განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლოს სტუდენტებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან და მოამზადოს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებლიანი ლიდერები. რაც შეეხება საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზანს, ის შემდეგნაირად არის ფორმულირებული: მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი მაღალი კვალიფიკაციის, მრავალმხრივი მენეჯერული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, შესაბამისი კვლევითი და შემოქმედებითი უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტი. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიის ზოგადი ხასიათის ფორმატიდან გამომდინარე საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია მისიასთან. პროგრამის მომზადების წინაპირობა იყო შრომის ბაზრის შესწავლა. კვლევა ძირითადად დაფუძნებული იყო მეორეული ინფორმაციის წყაროებზე, როგორიცაა სტატისტიკური მონაცემები, სამთავრობო ბიულეტინები, ასევე ორგანიზაციებთან მუდმივი კავშირი. **ინტერვიუს პროცესში, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროგრამის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ რეგიონში და ქალაქ ბათუმში მზარდი რაოდენობის მულტი ნაციონალური და საერთაშორისო ფირმები ახორციელებენ საქმიანობას, გარდა ამისა იზრდება ადგილობრივი (ქართული) ფირმების ინტერნაციონალიზაციის პროცესი. შესაბამისად იზრდება მოთხოვნა საერთაშორისო ბიზნესის სპეციალისტებზე. სწორედ, რომ ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრების ნაკლებობამ განაპირობა პროგრამის შემუშავება და განახლება.** გარდა ამისა, უნივერსიტეტს გააჩნია ონლაინ პლატფორმა, რომლის საშუალებით ხორციელდება შრომის ბაზრის შესწავლა. თუმცა მოცემული მექანიზმი არ არის საკმარისი პირველადი მონაცემების მისაღებად, რომლის ანალიზის საფუძველზე სიღრმისეული წარმოდგენა შეიქმნება შრომის ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების შესახებ. პროგრამის მიზნების მისაღწევად სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი რესურსები როგორც ადამიანური ასევე მატერიალური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია http://www.bsma.edu.ge/main/page/2-5/index.html;
- სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება;
- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“
- ინტერვიუ ბატუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა, რომელიც ნათელ და მკაფიო წარმოდგენას შექმნის შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ მაგისტრის აკადემიური ხარისხი 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: სტუდენტის სემესტრული დატვირთვა არის 30 კრედიტი. სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90 ECTS კრედიტი, საიდანაც 60 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო კურსებია, 30 კრედიტი ეთმობა არჩევით და თავისუფალ სასწავლო დისციპლინებს. დარჩენილი 30 ECTS კრედიტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის არის გამოყოფილი. ყველა სასწავლო კურსი (სპეციალობის, არჩევითი, თავისუფალი) წარმოდგენილია 5 ECTS კრედიტის მოცულობით. კრედიტების გამოთვლასთან დაკავშირებით მოქმედებს 2016 წლის 2 ნოემბერს დამტკიცებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შემუშავების წესი (სარეგისტრაციო კოდი: ND 2-F09-03), რომლის მე-5 მუხლის მე-5.7 პუნქტი ითვალისწინებს კრედიტის განსაზღვრის ცენტრალიზებულ წესს, კერძოდ, ყველა სასწავლო კურსი უნდა იყოს 5-ის ჯერადი, ხოლო შინაარსობრივად ექვემდებარება

განათლების მინისტრის კრედიტების დაანგარიშების წესს, რომელიც ითვალისწინებს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი მოცულობის განსაზღვრას. მიუხედავად სასწავლო უნივერსიტეტში კრედიტების განაწილების სტანდარტიზირებული წესის არსებობისა, მიგვაჩნია, რომ სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭებისას უნდა იყოს გათვალისწინებული მისი სპეციფიკა, სწავლების მეთოდი, შეფასების სისტემა და სასწავლო კურსის შინაარსი. საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თითოეული კომპონენტი აღწერილია სილაბუსში, რომელშიც მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლისათვის საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი, სწავლის შედეგები და ცოდნის შეფასების პროცესის დეტალური აღწერა. ცალკეული სასწავლო კურსის მიზანი და შედეგები გამომდინარეობს პროგრამის საკვალიფიკაციო ჩარჩოდან. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაში აღნიშნულია, რომ მიზნის მისაღწევად გამოიყენება სწავლის თანამედროვე მეთოდები და აქტივობები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიექნტირებული სწავლება. **სასწავლო კურსის თითქმის ყველა სილაბუსის მიხედვით იყენებენ ისეთ სწავლება/სწავლის მეთოდებს, როგორიცაა ლექცია, ჯგუფში მუშაობა.** გამომდინარე იქიდან რომ სილაბუსში არ არის მითითებული რას მოიცავს ჯგუფში მუშაობა, რთულია განსაზღვრო გამოყენებული სწავლის მეთოდები, რამდენად შეესაბამება ზოგიერთ სწავლების შედეგს. შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკა არ არის გათვალისწინებული. თუმცა, სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება ამავე სასწავლო კურსების მიზნებს. გარდა ამისა, პროგრამაში გვხდება ისეთი სასწავლო კურსები, რომელიც შინაარსის მიხედვით მზარდია, ხოლო სწავლის შედეგები მეორდება, კერძოდ, სასწავლო კურსი ,,საერთაშორისო მენეჯმენტი " ორი სემესტრის განმავლობაში ისწავლება, როგორც საერთაშორისო მენეჯმენტი 1 და საერთაშორისო მენეჯმენტი 2. შესაბამისად შინაარსი ლოგიკური თანმიმდევრობით გრძელდება, თუმცა საერთაშორისო მენეჯმეენტი 2 -ის სწავლების შედეგები იდენტურია საერთაშორისო მენეჯმენტი 1-ის, რაც ალოგიკურად მიგვაჩნია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო საგანმანათლებო პროგრამის სტრუქტურა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან;
• **რეკომენდაციები:**მკაფიოდ განისაზღვროს სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;

- საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო კურსები, (კერძოდ საერთაშორისო მენეჯმენტი 1 და საერთაშორისო მენეჯმენტი 2), რომლებიც ლოგიკურად გრძელდება შემდეგ სემესტრში საჭიროებს სწავლის შედეგების დახვეწას, რომელიც იქნება მზარდი და შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი კურსის შინაარსსა და შედეგთან;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კრედიტების განაწილებისას გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკა, სტუდენტის რეალური დატვირთვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. აღნიშნული კვალიფიკაციის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში ისწავლება შემდეგი **სპეციალობის დისციპლინები:** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო მენეჯმენტი 1, საერთაშორისო მენეჯმენტი 2, მენეჯერული ეკონომიკსი, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი და არბიტრაჟი, საფინანსო მენეჯმენტი საერთაშორისო ბიზნესში, სტრატეგიული მარკეტინგი.

თავისუფალი სასწავლო კურსების ბლოკი შეიცავს შემდეგ კურსებს: ბიზნეს ინგლისური, ბიზნეს რუსული, მსოფლიო ეკონომიკა (ინგლისურ ენაზე), საქონელმცოდნეობა და სტანდარტიზაცია, ინტერნეტ მარკეტინგი, ორგანიზაციული ქცევა.

არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში შედის: მენეჯერული ეკონომიკსი, თანამედროვე ბიზნესი (ინგლისურ ენაზე), ბიზნეს ეთიკა და ლიდერობა, საქმიანი მოლაპარაკებები და

კომერციული კონფლიქტოლოგია, მარკეტინგის მენეჯმენტი, ინოვაციების მენეჯმენტი (ინგლისურ ენაზე). **სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.** მთლიანობაში ზემოთ ჩამოთვლილი საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კომპონენტებით დაგეგმილი სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან. **თუმცა საერთაშორისო ბიზნესის სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა ისეთი სასწავლო კურსების სწავლება, როგორიცაა კულტურათაშორისი მენეჯმენტი, ექსპორტის მარკეტინგი, გლობალური მიწოდების ჯაჭვი, გლობალური ბაზრების შეფასება და საგარეო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიები. საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგიები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან • ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამას დაემატოს ისეთი დისციპლინები, როგორიცაა: კულტურათაშორისი მენეჯმენტი, ექსპორტის მარკეტინგი, გლობალური მიწოდების ჯაჭვი, გლობალური ბაზრების შეფასება და საგარეო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიები. საერთაშორისო ბიზნესის სტრატეგიები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სამაგისტრო პროგრამაში ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი" ფორმულირებულია სწავლების შედეგები, რომელიც აღწერს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს, რომელთა დემონსტრირების საშუალება ექნებათ კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულების შემდეგ.

პროგრამაში აქცენტირება კეთდება პროფილური საგნების შესწავლაზე და კვლევითი უნარების გამომუშავებაზე, რაც სადოქტორო პროგრამებისთვის მნიშვნელოვან ბაზისს წარმოადგენს. ამასთან, რადგანაც სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი" შედეგები ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულ ორგანიზაციებზე, შესაბამისად კურსდამთავრებული დაიკავებს შესაბამის ნიშას, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს მის კონკურენტუნარიანობას. სამაგისტრო პროგრამაში მოცემულია დასაქმების სფეროების ფართო დიაპაზონი, კერძოდ:

- ეკონომიკური, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ორგანიზაციები;
- ფირმები (საწარმოები), ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები, არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- კერძო, საჯარო, არასამთავრობო და აკადემიური სექტორები;
- ტრანსეროვნული კორპორაციები, მათი შვილობილი კომპანიები და ფილიალები;
- სახელწიფო ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიები.

თუმცა პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დასაქმების დიაპაზონი საჭიროებს შემცირებას და დასაქმების სფეროების მკაფიოდ განსაზღვრას, ვინადიან პროგრამა თავისი მიზნებისა და შინაარსიდან გამომდინარე ვერ გამოუმუშავებს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში დასაქმებისას კურსდამთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი.

სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, ასევე სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაფორემებული აქვთ მემორანდუმები. კერძოდ

- აჭარის სავაჭრო სამრეწველო პალატა 21.04.2017 პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ
- შპს "ბათუმის საერთაშორისო კონტეინერების ტერმინალი" 30.11.2016 - თანამშრომლობა

- ბიზნესმენთა საერთაშორისო ასოციაცია - 05.09.2016 - ურთიერთანამშრომლობის
- "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისთვის" ბათუმის ახალგაზრდული მერია 16.05.2016 - ურთიერთანამშრომლობა
- აზერბაიჯანის დასაქმების სატრენინგო ინსტიტუტი - 26.11.2015
- აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი - 05.09.2016
- "ბათუმის სპორტულ ახალგაზრდული ცენტრი" - 06.11.2015
- "ჩერნორიცა ხრაბრას სახელობის ვარნას თავისუფალი უნივერსიტეტი" - 24.04.2015
- უკრაინის ხერსონის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 10.09.2016
- რუმინეთის Ovidius University of Constanta - 02.09.2016

დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან საუბრისას გაირკვა რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია. მათ დასაქმებაში გარკვეული როლი მიუძღვის სასწავლო უნივერსიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი გარკვეულ როლს ასრულებს სტუდენტთა დასაქმების კუთხით, სასწავლო უნივერსიტეტში გასააქტიურებელია კარიერული მართვის ცენტრი, რომელიც იზრუნებს ამ პრობლემაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“
- გასაუბრება სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან;
- გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გააქტიურდეს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და საქართველოს დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მექანიზმები, კარიერული ცენტრის სახით და შემუშავდეს სტუდენტთა დასაქმების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით და დამტკიცებულია ამავე დაწესებულების რექტორის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ფორმალური მექანიზმი, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის მე-3 მუხლის 3.4 და 3.5 პუნქტი აწესრიგებს დაინტერესებულ პირთა ჩართვის პროცესს. 3.4 პუნქტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული უნდა იყვნენ შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და საჭიროების შემთხვევაში სხვა დაინტერესებიული პირები. აღნიშნული არ გამორიცხავს სხვა კომპეტენტური სუბიექტების ჩართვას პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში, ხოლო 3.5 პუნქტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა უნდა გამომდინარეობდეს საზღვაო აკადემიის მისიიდან და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების - სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარის - კვლევის ანალიზის შედეგებს. თუმცა, ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და მოდიფიკაციის პროცესში სუსტია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრება დამსაქმებლებთან • გასაუბრება სტუდენტებთან • გასაუბრება კურსდამთავრებულებთან.

• საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვიტარების წესი
რეკომენდაციები: • გააქტიურდეს დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რეალური ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე და ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს ინგლისურ ენაში და ეკონომიკსში. თუმცა არ არის დაკონკრეტებული ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ თუ რომელ სერტიფიკატს უღიარებენ კონკურსანტს წარმოდგენის შემთხვევაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს ALTE B2 დონის შესაბამისად ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უღიარებენ კონკურსანტებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალ სხვადასხვა კომპონენტებში გამოყენებულია სწავლების სტანდარტული მეთოდები, კერძოდ **ლექცია** - სადაც ხდება სასწავლო მასალების გადაცემა და **ჯგუფში მუშაობა** - რომელიც მოიცავს შემდეგ მეთოდებსა და აქტივობებს: კითხვა-პასუხი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და პრეზენტაციების მომზადება. გარდა ამისა, გამოიყენება **სხვა სასწავლო მეთოდებიც, კერძოდ:** სამეცნიერო სტატიებისა და საკონფერენციო თემის მომზადება-განხილვა, რეფერატის მომზადება, დისკუსია საერთაშორისო მარკეტინგის აქტუალურ საკითხებზე, ორიგინალური ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავება და სხვ. თუმცა, აღნიშნული სწავლების მეთოდები სტანდარტულად გამოიყენება პროგრამით გათვალისწინებული სილაბუსების უმრავლესობაში, მაგალითად, სილაბუსებში ერთერთ სწავლების მეთოდად გამოყენებულია ,,ჯგუფში მუშაობა“, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ უმრავლეს შემთხვევაში სტანდარტულ კომპონენეტებს: კითხვა-პასუხი, დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში; როლური და სიტუაციური თამაშები; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და პრეზენტაციების მომზადება. შესაბამისად, ბუნდოვანია ყველა დისციპლინაში მათი გამოყენების საჭიროება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან ფაკულტეტის დეკანთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან; გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდების მეტად მორგება ცალკეული დისციპლინის სპეციფიკასთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
„საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სპეციალობის სასწავლო კურსები ისწავლება სწავლების პირველივე წლიდან. მაგისტრანტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა თავიანთი შეხედულების მიხედვით შეარჩიონ სამაგისტრო ნაშრომის თემა, აგრეთვე, თავისუფალი და არჩევითი სასწავლო კურსები, რაც უზრუნველყოფს მათი სურვილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას და ცოდნის დაკონკრეტებას არჩეული პროფილის მიხედვით. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანზე დაშვების წინაპირობების დაწესებით, კერძოდ პროგრამაში შემავალი კომპონენტებიდან სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვის წინაპირობად განსაზღვრულია კვლევის მეთოდები და საერთაშორისო მენეჯმენტი 2, რომლის წინაპირობაც არის საერთაშორისო მენეჯმენტი 1. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომი არის პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის მინიჭებისათვის აუცილებელი კვლევითი კომპონენტი და მისი შესრულება პროგრამის სტრუქტურაში დაგეგმილია მე-4 სემესტრში, შესაბამისად მისი შესრულების წინაპირობად მხოლოდ სამი დისციპლინის განსაზღვრა არასაკმარისია. ვინაიდან პროგრამით შესაძლებელია სტუდენტი ისე გადავიდეს მეოთხე სემეტრში, რომ მას არ ქონდეს პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების დიდი ნაწილიც კი გავლილი და მოითხოვოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან ფაკულტეტის დეკანთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან; ○ გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:

• რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შერულების წინაპირობად, განისაზღვროს პროგრამით გათვალისწინებული სპეციალობის სასწავლო კურსებისა და არჩევითი დისციპლინების კრედიტების ის მოცულობა, რომელიც საკმარისი იქნება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მომენტისათვის 120 კრედიტის შესაგროვებლად, სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვის წესის (არაუმეტეს 75 კრედიტი) გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
პროგრამაში შემავალ დისციპლინებში (სავალდებულო და არჩევითი) გამოყენებულია სტუდენტის შეფასების სტანდარტული მეთოდები: რეფერატის მომზადება და პრეზენტაცია; შეკითხვებზე პასუხი, საშინაო დავალების შესრულება და პრეზენტაცია. მიგვაჩნია, რომ შეფასების მეთოდათ ყველა საგანში რეფერატის მომზადება და პრეზენტაციის შეტანას, ბევრ შემთხვევაში უმნიშვნელო როლი შეაქვს კონკრეტული დისციპლინის სწავლის შედეგების მიღწევაში, მაგალითად დისციპლინებში: ორგანიზაციული ქცევა, საქონელმცოდნეობა და სტანდარტიზაცია ბუნდოვანია რა როლი შეაქვს შეფასების ამ მეთოდის გამოყენებას მოცემული დისციპლინების სწავლის შედეგების მიღწევაში, ასევე დისციპლინაში საერთაშორისო პროექტების მართვა შეფასების მეთოდათ გამოყენებულია რეფერატის მომზადება და პრეზენტაცია, თუმცა სწავლის შედეგების მიხედვით შეფასების მეთოდათ გამოყენებული უნდა იყოს არა რეფერატის, არამედ პროექტის მომზადება და პრეზენტაცია. ასევე ყველა დისციპლინაში სტუდენტის ცოდნის შეფასების ერთერთ მეთოდათ გამოყენებულია პრეზენტაცია, რაც რეფერატის მომზადება და პრეზენტაციასთან ერთად, მიგვაჩნია, რომ ზედმეტია, გარდა ამისა, პროგრამის

სტუდენტებმაც გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყველა დისციპლინაში რეფერატების წერა ზედმეტად ტვირთავს პროგრამას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი“; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან ფაკულტეტის დეკანთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან; ○ გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან;
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სტუდენტის ცოდნის შეფასების მეთოდები, მეტად მოერგოს ცალკეული დისციპლინების თავისებურებებს;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებულია სტუდენტის ცოდნის შეფასების 100 ქულიანი სისტემა, რომელიც იყოფა სამ კომპონენეტად: შუასემესტრული შეფასება - 30 ქულა; პედაგოგის რეიტინგული შეფასება - 30 ქულა და დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება სტანდარტული კრიტერიუმები, მაგალითად, შუასემესტრული შეფასების ნაწილი მოიცავს ,,რეფერატის დაწერას" ყველა სასწავლო კურსში, ,,პედაგოგის რეიტინგული შეფასებას", რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს - შეკითხვებზე პასუხი 10 ქულა, საშინაო დავალების შესრულება - 10 ქულა და პრეზენტაცია - 10 ქულა. ამასთან, მიუხედავად, იმისა რომ უნივერსიტეტში ხდება სტუდენტის ინფორმირება მიღწეული შედეგების ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ, მიგვაჩნია, რომ სტუდენტის ცოდნის შეფასების კრიტერიუმების მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მათი კონკრეტიზაცია, კერძოდ სტუდენტმა სილაბუსის დონეზე უნდა იცოდეს მაგალითად, 10 ქულიან პრეზენტაციაში, რა შემთხვევაში მიიღებს თუნდაც 6 ქულას. გარდა, ამისა უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით დასაზუსტებელია სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების წესი. თუმცა, გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პრაქტიკულად იყენებს სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადად (დასკვნითი) შეფასების წესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი"; ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან ფაკულტეტის დეკანთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან; ○ სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა, ND 2-F05, 07/04/2015; ○ გასაუბრება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; ○ გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან; ○ გასაუბრება პროგრამის სტუდენტებთან;
რეკომენდაციები: • სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების მეტი გამჭირვალეობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია განხორციელდეს ცოდნის შეფასების ცალკეულ კრიტერიუმში მისანიჭებელი ქულების რანჟირება. • სამაგისტრო ნაშრომის ერთჯერადად (დასკვნითი) შეფასების წესი სრულად გაიწეროს უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ინტერვიუებით დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებს ადმინისტრაციული, თუ აკადემიური პერსონალისაგან. ისინი, ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოხატავენ უკმაყოფილებას. აღნიშნავენ, რომ ლექტორებისაგან იღებენ ნებისმიერი სახის საჭირო ინფორმაციას, რომელიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუ სტუდენტებთან ○ სასწავლო კურსის სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთა საკონსულტაციო საათები. აღნიშნული ინფორმაცია დაფიქსირებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. მართალია, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ პროფესორ/მასწავლებელი ვალდებულია კვირაში ორი დღე ჩაატაროს დამატებითი კონსულტაციები, ხოლო სილაბუსებში მხოლოდ კვირაში ერთი დღეა აღნიშნული, მაგრამ, სტუდენტები უკმაყოფილებას არ გამოხატავენ ამ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნავენ, რომ ლექტორებისაგან იღებენ ნებისმიერი სახის საჭირო ინფომრაციას, რომელიც მათ დაეხმარებათ სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო კურსის სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ სტდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სილაბუსსა და თვითშეფასების ანგარიში დაფიქრირებული საკონსულტაციო დღეები და საათები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას ყოველწლიურ სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებში. სადაც ხორციელდება ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო კვლევითი მოხსენების დამუშავება, რომელიც იბეჭდება კონფერენციის კრებულში.

პროგრამაში არ არის გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტი. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასურველია ამ კომპონენტის გაძლიერება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათი უმეტესი ნაწილი დასაქმებულია. დამსაქმებლების ნაწილს ჰქონია გამოცდილება აღნიშნული დაწესებულების სტუდენტთან მუშაობის, მართალია უჭირთ თქმა იყვნენ თუ არა ეს სტუნდენტები კონკრეტულად "საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" პროგრამიდან, თუმცა, ყველა დამსაქმებელი მზადაა, აქტიურად ითანამშრომლოს აკადემიასთან, როგორც კონკრეტული პროგრამის ისე, მთლიანად დაწესებულების ფარგლებში.

ინტერვიუებისას დადგინდა, რომ სტუდენტებს იშვიათად უტარდებათ შემეცნებითი, პრაქტიკული ხასიათის სემინარები, "ვორქშოპი". ისინი აღნიშნავენ, რომ მათთვის სასურველი იქნებოდა მსგავსი სახის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.
უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება ყოველწლიურად მართავს კონფერენციებს. ასევე, თავაზობს სტუდენტებს გაცვლით პროგრამებს. დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სტუდენტებთან ინტერვიუები;
- დამსაქმებლებთან ინტერვიუები.
- გაფორმებული მემორანდუმები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სასწავლო პროცესისაგან დამოუკიდებლად შემეცნებითი, პრაქტიკული ხასიათის სამინარების გამართვა, სადაც მოწვეულები იქნებიან, როგორც ქართველი ასევე უცხოელი მომხსენებლები. • რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში პრაქტიკის კომპონენტის გათვალისწინება, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას სამუშაო ადგილზე საქმიანობის პროცესში გაიღრმავონ პრაქტიკული უნარები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად მართავს კომფერენციებს. ვიზიტის ფარგლებში ხორციელდება კონფერენციების პროგრამებსა და სტუდენტთა ნაშრომების გაცნობა. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს ნორვეგიაში გაცვლით პროგრამას: "Sustainable tourism: rural entrepreneurship and heritage". სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ერაზმუს+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებშიც. გაცვლითი პროგრამები და ღონისძიებები კიდევ უფრო მრავალფეროვანია ბაკალავრიატის დონეზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გაფორმებული მემორანდუმები; • სტუდენტებთან ინტერვიუები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის პროცესში

ჩართულობა საზღვარგარეთ საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერით კულტურული და ფსიქოლოგიური დისტანციის შემცირების მიზნით, რაც გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას: ინფრასტრუქტურას, კომპიუტერული კლასებს, ბიბლიოთეკას. ასევე დაათვალიერეს სასწავლო შენობები, რომლებიც აღჭურვილი იყო ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით და შშმ პირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოდგენილი იყო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსებით. გასაუბრებიდან დადასტურდა, რომ პერიოდულად, დეპარტამენტიდან წამოსული მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

ახორციელებდა ახალი სასწავლო ლიტერატურის შეძენას, რაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, დადგინდა, რომ სტუდენტებს პრობლემა არ ექმნებათ სილაბუსში მითითებული მასალის მოძიებასთან დაკავშირებით. ასევე შეუძლიათ ელექტრონული უცხოური ინტერნეტ რესურსებით მოიძიონ უცხოენოვანი მოწინავე ჟურნალები, სტატიები, სახელმძღვანელოები, თუმცა ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სტუდენტები არ იყენებენ ამ რესურსებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერება ადგილზე; ○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრება; ○ სტუდენტებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სტუდენტებს ჩაუტარდეთ ტრენინგები უცხოური სამეცნიერო ინტერნეტ რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით და ასევე ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში რეფერატისა ან პროექტის მომზადებისას გამოიყენონ სხვადასხვა წყაროები, მათ შორის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი ელეტრონული უცხოური ინტერნეტ რესურსები, როგორიცაა სამეცნიერო ნაშრომები, კრებულები, ჟურნალები, სტატიები და სხვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობაში ჩართულია 15 პროფესორი, 36 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი. მათ შორის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე: 4 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 5 ასისტენტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფლობს დარგის თეორიას, პრაქტიკას, მეთოდებსა და პროფესიულ უნარებს. პროფესორებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი ავლენდა სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, მაგრამ სასურველია აკადემიური პერსონალის კიდევ უფრო მეტი ჩართულობა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში. გასაუბრებით დადასტურდა, რომ მოწვეული (ამჟამად ერთი პედაგოგი) პერსონალს პერიოდულად (სემესტრულად ან ყოველწლიურად) უტარდებათ კონკურსი და შესაბამისი პროცედურების შედეგად ხდება მათი მოწვევა უნივერსიტეტში. ამას გარდა, გასაუბრებიდან ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესში, კერძოდ საერთაშორისო კონფერენციებში, ერთობლივ კვლევით პროექტებსა და გაცვლით პროექტებში, ჩართულობა სუსტია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის პირადი საქმეები; • უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება; • სტუდენტებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის გააქტიურება, საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა და ერთობლივ კვლევით პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეების მასალებით და ადმინისტრაციასთან, დამხმარე პერსონალთან გასაუბრებით, მაგრამ ამასთან სასურველია, უნივერსიტეტში დაიგეგმოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება (მაგალითად, „ეფექტური კომუნიკაციის "ტრენინგი, „უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესახებ" ტრენინგი და სხვ.), კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები;
- გასაუბრება ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტში დაიგეგმოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ტრენინგების ჩატარება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას
სასწავლო მასალა ნაწილობრივ არის დაფუძნებული მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად, ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სილაბუსების შესწავლისას და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ უცხოენოვან სილაბუსებში მითითებულია ქართული ლიტერატურა. გასაახლებელია ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსებში "თანამედროვე ბიზნესი", "კვლევის მეთოდები", "Modern business" მსოფლიო ეკონომიკა" და სხვა.) პროგრამის მიზნებში და ამოცანებში ვკითხულობთ, რომ პროგრამაზე სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია მენეჯმენტის თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლება", რაც მხოლოდ ნაწილობრივ დასტურდება პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსებით, ეს საკითხი ასევე პრობლემურ საკითხად გამოყვეს კურსდამთავრებულებმა გასაუბრების დროს. ამისათვის საჭიროა სასწავლო კურსში "საერთაშორისო პროექტების მართვას" დაემატოს MS Project-ის პროგრამული პაკეტის შესწავლა. სასურველია სასწავლო კურსს "ელექტრონული ბიზნესი და ინტერნეტბანკინგი" დაემატოს, როგორც Excel -ის გაღრმავებული კურსის საკითხები, ასევე საბაჟო სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხები (საბაჟო მონაცემების ავტომატიზებული სისტემა ASYCUDA world, სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემა - Oracle, პიროვნების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის საინფორმაციო სისტემა - PIRS და ა.შ).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა; ○ აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: • განახლდეს ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსში "თანამედროვე ბიზნესი", "კვლევის მეთოდები", "Modern business", "მსოფლიო ეკონომიკა" და სხვ.); • უცხოენოვან სილაბუსებში მითითებული ქართული ლიტერატურა შეიცვალოს ინგლისურენოვანი ლიტერატურით; • სასწავლო კურსს "საერთაშორისო პროექტების მართვა" დაემატოს MS Project -ის პროგრამული პაკეტის შესწავლა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსს "ელექტრონული ბიზნესი და ინტერნეტბანკინგი" შესასწავლად დაემატოს, როგორც Excel -ის გაღრმავებული კურსის საკითხები, ასევე საბაჟო სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხები (საბაჟო მონაცემების ავტომატიზებული სისტემა ASYCUDA world, სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემა - Oracle, პიროვნების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის საინფორმაციო სისტემა - PIRS და ა.შ.).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სამაგისტრო პროგრამას და ასევე ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტს არ აქვს ცალკე გაწერილი ბიუჯეტი. უნივერსტეტის ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფას. თუმცა, სასურველია პროგრამის, ფაკულტეტის საორიენტაციო/ინდიკატური ბიუჯეტი, რომლშიც გამოკვეთილი იქნება პროგრამის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ფინანსური უზრუნველყოფა და პროგრამების დაფინანსების დამატებითი გზები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

• უნივერსიტეტის ბიუჯეტში სასურველია პუნქტობრივად დაზუსტდეს აკადემიური პერსონალის პროფესიული/კვლევითი განვითარებისათვისა და სხვა სამეცნიერო აქტივობისათვის დანახარჯები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით, ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის" ND2-P06.02, 07.04.2015 დებულებით, ხელმძღვანელობის მხრიდან ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის ND 2-Q05-06 22.07.2016 პროცედურით და სხვა. მართალია ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულია სტუდენტების, პერსონალის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულების კითხვარები, მაგრამ დასახვეწია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმი. მიუხედავად იმისა რომ გამოკითხვის ოქმები არსებობს, ინტერვიუირებამ აჩვენა, რომ ისინი ნაწილობრივ იყვნენ ჩართულები ამ პროცესში. გამოკითხულთა შედეგების საფუძველზე ხარისხის სამსახურის

მიერ დაწყებულია პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვისა და დანერგვის სამუშაოები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ხელმძღვანელობის მხრიდან ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის პროცედურა ND 2-Q05-06 22.07.2016; • თვითშეფასების მტკიცებულებები; • კვლევის შედეგები; • უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან გასაუბრება; • სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შიდა შეფასება ხდება შემუშავებული ფორმებისა და კრიტერიუმების საშუალებით. პროგრამებს, ასევე, აფასებენ სტუდენტები სპეციალური კითხვარების შევსებისას. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. სამაგისტრო საგანმანათლებლო ბროგრამების „ლოჯისტიკა და ექსპედირება“ 2013 წლის აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში წარმოდგენილი რეკომენდაციების აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში. **ექსპერთა ჯგუფის რეკომენდაციები:** **რეკომენდაცია 1:** პროგრამაში გვხვდება ასეთი ჩანაწერი - კურსდამთავებულთა პროფესიული მოღვაწეობის სფეროებია: საქართველოს განათლების სამინისტროს ნორმატიული აქტებისა და დადგენილებების შესაბამისად “პედაგოგიკის მაგისტრის” დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში, უმაღლესსა და საშუალო სკოლებში მუშაობა მასწავლებლად. საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ ითვალისწინებს „პედაგოგიკის მაგისტრის“ კვალიფიკაციას ასეთი ფორმულირებით, მით უფრო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გაურკვეველია რა დამატებითი კვალიფიკაციის მიღებაზეა საუბარი, მიგვაჩნია, რომ ეს ჩანაწერი უმჯობესი საერთოდ ამოღებულ იქნეს პროგრამიდან, როგორც დაუსაბუთებელი და დაინტერესებული მხარეების შეცდომაში შემყვანი. **რეაგირება 1:** აღნიშნული რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული და მითითებული ჩანაწერი ამოღებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამიდან. **რეკომენდაცია 2**: მიღების წინაპირობებში მითითებულია, „სტუდენტების (რომელთაც სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე), სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობით: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #106/ნ, 26.09.2000 წ. დანართი 6 და 13“ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულია და მის ნაცვლად მოქმედებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №26/ნ 2006 წლის 30 იანვარი, მით უფრო რომ ეს ბრძანება განსაზღვრავს მცურავი შემადგენლობის მუშაკთა შემოწმების საერთო სამედიცინო წინააღმდეგ ჩვენებათა ჩამონათვალი და მეზღვაურთა ჯანმრთელობის შემოწმების სტანდარტს, რაც არანაირად არაა დაკავშირებული ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მიღებასთან. **რეაგირება 2 :** სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია სრულიად იქნა გათვალისწინებული და მითიტებული ჩანაწერი ამოღებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამიდან. **რეკომენდაცია 3:** რამდენიმე სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია რუსულენოვანი წიგნები, თუმცა რუსული ენის ცოდნა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს არ მოეთხოვებათ.

რეაგირება 3: სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებშიც ფიქსირდებოდა აღნიშნული ფაქტი შევიდა შესაბამისი ცვლილებები და რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდა ქართულენოვანი ლიტერატურით.

რეკომენდაცია 4: ლოჯისტიკის მიმართულების 4 სხვადასხვა სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია ერთი და იგივე წიგნი - გ.ტყეშელაშვილი, გ. ხმალაძე „ლოჯისტიკის საფუძვლები". აკადემიური პერსონალი ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ ქართულენოვანი ლიტერატურა არ არსებობს, ხოლო სტუდენტებისათვის მომზადებული აქვთ ლექტორის ხელნაწერი საკითხავი მასალა. სასურველი იქნება, აკადემიის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს ასეთი ხელნაწერების სალექციო კურსების სახით გამოცემას.
რეაგირება 4: 2013 წელს საზღვაო აკადემიის ხელშეწყობით გამოცემული იქნა სახელმძღვანელო „ლოჯისტიკა" (523 გვ.), გარდა ამისა ლოჯისტიკის მიმართულების ყველა სასწავლო კურსში დამუშავებული იქნა რიდერები, რომლებიც აისახა სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში

რეკომენდაცია 5: ღსანიშნავია, რომ აკადემიის ნორმატიულ დოკუმენტში „სასწავლო პროცესის პროცედურა, სწავლების საფეხური - მაგისტრატურა" გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, რითაც ირღვევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების მე-4 მუხლის 2-ე პუნქტი. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან საუბრის შემდეგ, წარმოადგინეს ბსსა სენატის 2013 წლის 20 თებერვლის #3 ოქმი, რომლის თანახმადაც შევიდა შესაბამისი ცვლილებები სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესში.

რეაგირება 5: მიუხედავად იმისა, რომ ექსპერთა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა ექსპერთა ვიზიტის ფარგლებში, მუშაობა აღნიშნული მიმართულებით გაგრძელდა შემდეგშიც. „სასწავლო პროცესის პროცედურა, სასწავლო საფეხური - მაგისტრატურა, რომელიც დამტკიცებული იქნა 20.09.2016 წელს, რომელშიც დეტალურად გაიწერა და ნაწილობრივ შეიცვალა სამაგისტრო ნაშრომის შეფაების წესი. 2018 წელს დამტკიცებული იქნა ახალი - „სასწავლო პროცესის პროცედურა, სასწავლო საფეხური - მაგისტრატურა, რომელშიც დეტალურად ცარის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცედურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების მტკიცებულებები;
- კვლევის შედეგები;
- უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრება;
- სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√		
საბოლოო შეფასება		√	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√		
საბოლოო შეფასება		√	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: